განხილულია
პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 15 სექტემბრის N 2 სხდომაზე

შპს კერძო სკოლა ინტელექტის
შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
2023-2030 წლები

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

7 (შვიდ) წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. სტრატეგიული გეგმის შემუშავება მნიშვნელოვანწილად დაეყრდნო სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარდა არაერთი გამოკითხვა. გამოკითხვათა ანალიზის, ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით განისაზღვრა სკოლის მიზნები: *მოსწავლეები უზრუნველყოს ხარისხიანი, ჯანსაღი, შემოქმედებითი, ჰუმანური, სამართლიანი და თანასწორობაზე დაფუძნებული სასკოლო გარემოთი. აღზარდოს, კანონმორჩილი, ტოლერანტი, განვითარებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი, ქვეყნისა და გარემოსადმი პასუხისმგებელი მოქალაქე.*

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი და მისი მოადგილეები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებას.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

სკოლის შესახებ ინფორმაცია

შპს ,,კერძო სკოლა ინტელექტი'' დაარსდა 2017 წელს. დაარსების დღიდან სკოლის რეპუტაცია განუხრელად იზრდება, რაც განპირობებულია ჩვენ მიერ გადადგმული არაერთი ნაბიჯით. მშობლებსა და მოსწავლეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ ვთავაზობთ უსაფრთხო, დისციპლინირებურ და კომფორტულ სასწავლო გარემოს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაზარდოს მოსწავლეთა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო ასპარეზზე, სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლება. დაარსების დღიდან დღემდე არაერთმა მოსწავლემ შეძლო და უმაღლესი შეფასებები მიიღო საერთაშორისო მაღალრეიტინგულ გამოცდებში. გარდა ამისა, სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად, ბოლო რამდენიმე წელია მოსწავლეებს ვთავაზობთ გაცვლით საზაფხულო პროგრამას დიდ ბრიტანეთში. თანამშრომელთა შორის ჰარმონიული სამუშაო გარემო, მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და სკოლის ადმინისტრაციის მოტივაცია განვითარებისა და ზრდისკენ, წარმოადგენს სკოლის წარმატების ძირითად გასაღებს.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა მოსწავლეს მისცეს ზოგადი განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე. აღზარდოს ღირსეულ ადამიანად და მოამზადოს ცხოვრებაში წარმატებული ადგილის დასამკვიდრებლად. ასევე, განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, ჩამოუყალიბოს ისეთი უნარ-ჩვევები როგორიცაა: ტოლერანტობა, კანონმორჩილება, ვალდებულების მაღალი შეგნება და პატრიოტიზმი, დაეხმაროს მას სწორი არჩევანის გაკეთებაში. სკოლა იზრუნებს სწავლების ყველა საფეხურზე, მოსწავლეს შეუქმნას უსაფრთხო გარემო და სწავლისათვის საჭირო ყველა თანამედროვე პირობა. ასევე, სკოლა იზრუნებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და მათი საქმიანობის ხელშეწყობაზე.

სკოლის ხედვა

მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებით უზრუნველყოს ჯანსაღი, შემოქმედებითი, ჰუმანური, სამართლიანი და თანასწორობაზე დაფუძნებული სასკოლო გარემო. აღზარდოს, კანონმორჩილი, ტოლერანტი, განვითარებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი, ქვეყნისა და გარემოსადმი პასუხისმგებელი მოქალაქე.

სკოლის ღირებულებები:

სკოლის ღირებულებები მჭიდრო კავშირშია გაცხადებული მისიისა და ხედვის სრულყოფილად განხორციელებასთან და ეფუძნება სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებებს და პრიორიტეტებს. შესაბამისად, ამ ღირებულებათა გათვალისწინება მნიშვნელოვანია მოქმედების ყველა ასპექტში. სკოლა დგას შემდეგ მთავარ ღირებულებებზე:

- ***თანასწორობა, სამართლიანობა და სამართლიანი გარემოს შექმნა*** *- სკოლა უზრუნველყოფს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები მუდმივად იყოს კანონთან შესაბამისობაში და არ ტოვებდეს ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს. სკოლაში დანერგილია კომუნიკაციის ისეთი სისტემა, სადაც საქმიანობაში ჩართული თითოეული რგოლისთვის იქმნება თანაბარი და სამართლიანი პირობები;*
- ***ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კავშირების ხელშეწყობა*** *- სკოლაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც პირველ რიგში ეფუძნება ურთერთპატივისცემას, იქნება ეს წარმატებული შიდაკორპორატიული პრაქტიკა, მუდმივი პოზიტიური კომუნიკაცია მშობლებთან თუ მოსწავლეებთან;*
- ***გუნდურობა*** *- სკოლის თითოეული წარმომადგენელი მზად არის მუდმივად ითანამშრომლოს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან, განიხილოს სიახლეები, წინადადებები, განსხვავებული პოზიციები და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება.*
- ***ობიექტურობა და გამჭვირვალობა*** *- სკოლის მიერ განხორციელებული თითოეული ღონისძიება და გადადგმული ყველა ნაბიჯი შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შესაბამისად სკოლაში დანერგილი და განხორციელებული შეფასებები მაქსიმალურად გამორიცხავს დაინტერესებული მხარის სუბიექტურ მიდგომებს. გარდა ამისა, სკოლის საქმიანობის ნებისმიერი ასპექტი წიასწარ არის განსაზღვრული სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში, ცნობილია დაინტერესებული მხარეებისთვის და საჯაროა, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ გამჭვირვალობას.*

სკოლის მიზნები

სკოლის მიზანია:

- **უზრუნველყოს** მოსწავლეთათვის ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული ისეთი გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, **ხელი შეუწყოს** თავისუფალი, კრიტიკული და ჯანსაღი აზრის ფორმირებას, **განავითაროს** მათი კომუნიკაციის, ობიექტური აღქმისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარები, **ჩამოუყალიბოს** სწორი, სახელმწიფოებრივი ღირებულებები.
- უზრუნველყოს თანამშრომლებისათვის მაქსიმალურად კომფორტული და ჰარმონიული სამუშაო გარემო და სხვადასხვა მექანიზმებით ხელი შეუწყოს თითოეულ მასწავლებელის პროფესიულ განვითარებას;
- სხვადასხვა საკლასო და კლასგარეშე ღონისძიებების აქტიურად დანერგვით, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში კვლევისა, ანალიზისა და დასკვნების დამოუკიდებლად გაკეთების უნარების განვითარებას;

- სწავლის ხარისხის ზრდისთვის და თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, არსებული სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული მხარის(სკოლა>მშობელი>მოსწავლე) სასწავლო პროცესში ჩართულობის გააქტიურება;
- უსაფრთხო, მდგრადი და ინკლუზიური გარემოს შეთავაზება ყველა დაინტერესებული პირისთვის.

SWOT - ანალიზი

იმისათვის, რომ სკოლამ მოახერხოს თავისი მისიის შესრულება და მოსწავლეებისათვის საუკეთესო საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, აუცილებელია სწორად იქნეს დანახული სკოლის მიერ დასახული და შესრულებული სტრატეგიული გეგმის დადებითი და უარყოფითი, სუსტი და ძლიერი მხარეები. სისუსტეების გამოვლენა მიმართულია იმისკენ, რომ არსებული შესაძლებლობის ფარგლებში გადაიქცეს ძლიერ მხარეებად, ხოლო საფრთხეების წინასწარ შეფასება საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ **საგანმანათლებლო პროგრამები:** • ინგლისური ენის სწავლება გაძლიერებულად; • ორგანიზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება; • მოსწავლეთათვის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის შეთავაზება; • პოზიტიური წამახალისებელი ღონისძიებები სკოლის მხრიდან (სტიპენდია); ✓ **მატერიალური რესურსები:** • საკუთრებაში არსებული ახალაშენებული შენობა; • მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა; • ინკლუზიური გარემო; • სკოლაში არის უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო. ✓ **ადამიანური რესურსები:** • სკოლას ყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი; • სკოლის თანამშრომლები არიან მეგობრულები და კოლეგიალურები; • სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი სასწავლო გარემო.	✓ **საგანმანათლებლო პროგრამები:** • მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ნაკლები გამოცდილება; ✓ **მატერიალური რესურსები:** • მომავლის ლაბორატორიის უქონლობა; • კომპიუტერულ ლაბორატორიაში უახლესი ლეპტობების უქონლობა; • SMART BOARD-ების უქონლობა; • ვირტუალური ლაბორატორიის უქონლობა; • შედარებით მცირე ფართობის ეზო; ✓ **ადამიანური რესურსები:** • სასკოლო ცხოვრებაში საბაზო და საშუალო საფეხურის მშობელთა დაბალი დაინტერესება და ჩართულობა; • აკადემიური პერსონალის მხრიდან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სიმცირე;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ **საგანმანათლებლო პროგრამები:** • სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა სახის აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;	• სახელმწიფოს მხრიდან კერძო სკოლების საქმიანობის ნაკლები ხელშეწყობა; • მშობელთა მხრივ სწავლების საფასურის გადახდისუნარიანობის შემცირება;

• მათემატიკის გაძლიერებული პროგრამის დანერგვა • სასკოლო კლუბების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება; • არაფორმალური განათლების განვითარება; • ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და აქტივობებში აქტიური მონაწილეობა. ✓ **მატერიალური რესურსები:** • მომავლისა და ვირტუალური ლაბორატორიის შექმნა და დანერგვა; • ჭკვიანი დაფების შეძენა; • ფინანსების მოზიდვა. ✓ **ადამიანური რესურსები:** • თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით მეტი ტრენინგის ორგანიზება; • თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; • ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.	• პედაგოგთა გადინება საჯარო სკოლებში; • ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების სიმცირე ბაზარზე.

სტრატეგიული მიმართულებები:

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის **შპს კერძო სკოლა ინტელექტს** დაგეგმილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;**
- **ადამიანური რესურსის განვითარება;**
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;**
- **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;**
- **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;**
- **ორგანიზაციული განვითარება.**

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

- ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;

სწავლა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას. ხარისხზე ორიენტირებულ სკოლაში მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, არამედ ცოდნის გააზრების, გამოყენების, დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანისა და შეფასების გაკეთების უნარ-ჩვევებს. მოსწავლის განვითარების დინამიკის დადგენა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება არის სრულყოფილი და ხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	2030 - 2031
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება	ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა							
	სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა							
	სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება							

2. ადამიანური რესურსის განვითარება

- პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;
- აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება.

ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა წარმოუდგენელი და შეუძლებელია კვალიფიციური, მომზადებული და პროფესიულად მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლის გარეშე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ამის განსახორციელებლად სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას, რაშიც მოიაზრება ტრენინგები, ვებინარები, სამუშაო შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა და ა.შ.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	2030 - 2031
ადამიანური რესურსის განვითარება	პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება							
	აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა							
	პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება							

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სასწავლო რესურსების გაუმჯობესება;
- უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, ქსელის ინფრასტრუქტურის და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის საჭირო მატერიალური რესურსის არსებობა, სასკოლო ინვენტარით და საჭირო რესურსებით სასწავლო დაწესებულების უზრუნველყოფა, მძლავრი საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის განვითარება, ლაბორატორიების გამდიდრება და სხვა. სკოლაში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	2030 - 2031
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება							
	საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება							
	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება							
	ფინანსური მდგრადობა							

4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

სკოლაში სასწავლო პროცესი და ზოგადად აღზრდის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და ნდობის პრინციპებს. მოსწავლე უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. სკოლაში შექმნილი უნდა იყოს ყველა პირობა, რათა დაკმაყოფილებული იყოს სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნები. სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების მკაფიოდ შემუშავებული სისტემა, რომელშიც მოიაზრება მანდატურები, დარაჯები, ვიდეო კამერები, სახანძრო უსაფრთხოებისა ნორმების დაცვა, პრევენციული ღონისძიებები. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აუცილებელი ცოდნა კრიტიკულ სიტუაციებში ქცევის შესახებ და განუვითაროს შესაბამისი უნარ-ჩვევები.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	2030 - 2031
უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება							

5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

- მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში;
- მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა;
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა

სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება. სასკოლო საზოგადოებისათვის ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, წარმატებებსა და ინიციატივებზე. სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, რისი აუცილებელი პირობაცაა მათი ინფორმირებულობა.

სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სწორედ ამიტომ, სკოლის

მმართველობითი კოლეგიური ორგანოების შემადგენლობა დაკომპლექტებულია როგორც სკოლის თანამშრომლების, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისაგან.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	2030 - 2031
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა	მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში;							
	მშობლებთან ურთიერთობის ფორმების დახვეწა							
	მოსწავლეთა თვითმართველობის აქტივობების გაზრდა;							
	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცეში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა							

6. მოსწავლეთა მხარდაჭერა

- მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება;
- დამატებითი სერვისების განვითარება;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
- სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და მოტივაციის ზრდისთვის, სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმის გაუმჯობესება

ნაყოფიერი სასწავლო პროცესის ფორმირებისთვის აუცილებელია მოწესრიგებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს დაცულად და კომფორტულად იგრძნობენ. სკოლის მიზანია პირველ რიგში უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, მოიპოვოს მისი ნდობა და შეუქმნას მას მიმღებლობითი გარემო. მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით ხდება სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და შემდგომში მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი მიღწევების წახალისება.
მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიცემა. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა კლუბებისა და დამატებითი მომსახურების შეთავაზება, სხვადასხვა სიახლეების შეთავაზება სასკოლო საზოგადოებისათვის.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	2030 - 2031
მოსწავლეთა მხარდაჭერა	მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება							

	დამატებითი სერვისების განვითარება							
	მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება							
	სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და მოტივაციის ზრდისთვის, სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმის გაუმჯობესება							

7. ორგანიზაციული განვითარება

- ავტორიზაციის პროცესისთვის მომზადება და ავტორიზაციის გავლა
- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სკოლის ცნობადობის გაზრდა;
- დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება
- საერთაშორისო მიმართულებით სხვადასხვა კავშირების დამყარება და განვითარება

პარტნიორულ ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის განვითარებისთვის; პირველ რიგში, მნიშვნელოვანია პარტნიორობა სკოლის შიგნით, რათა ერთად მოხდეს პრობლემების გადაჭრა დასახული მიზნის მისაღწევად.

მეორე მხრივ, კონკურენტუნარიან გარემოში პარტნიორობა საჭიროა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სკოლებთან, კერძო პირებთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, უნივერსიტეტებთან, თემთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომელშიც სკოლის წარმატებით დაინტერესებული ყველა პირი მიიღებს მონაწილეობას.

ამასთან, აუცილებელია მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ და მომავალი ავტორიზაციის პროცესისათვის სკოლაში მოქმედი მექანიზმების დახვეწა.

სტრატეგიული მიზნები	**ამოცანები**	**შესრულების პერიოდი**						
		2024 - 2025	**2025 - 2026**	**2026 - 2027**	**2027 - 2028**	**2028 - 2029**	**2029 - 2030**	**2030 - 2031**
ორგანიზაციული განვითარება	ავტორიზაციის პროცესისთვის მომზადება და ავტორიზაციის გავლა							

	სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა							
	სკოლის ცნობადობის გაზრდა							
	დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება							
	საერთაშორისო მიმართულებით სხვადასხვა კავშირების დამყარება და განვითარება							